საინფორმაციო ფურცელი შეჩვევის ფაზებთან დაკავშირებით

ბავშვის საბავშვო ბაღში მიღება, როგორც მშობლისათვის ისევე ბავშვისათვის გამოწვევაა. ერთი მხრივ, ბავშვმა უნდა დატოვოს დიდი ხნის განმავლობაში შეგუებული და მიღებული (სანდო) გარემო და ახალ ვითარებას შეეგუოს; მეორე მხრივ მშობლისთვისაც არ არის ადვილი ბავშვთან განშორება.

ამიტომ ჩვენს მოვალეობად მივიჩნევთ ამ წუთებში მშობლებისა და ბავშვების გვერდით დგომას. შეგუების პროცესი ბერლინის მოდელის მიხედვით არის აგებული და შედგება ოთხი ფაზისაგან. ის მშობლებსა და ბავშვებს უადვილებს ეტაპობრივად, ფრთხილად, შეეგუონ ახალ გარემოს და სიტუაციას.

მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა საბავშვო ბაღი რაც შეიძლება კარგად გაიცნონ და საბავშვო ბაღის დირექტორს პირადად გაესაუბრონ. შეგუების ფაზა ადვილად ჩაივლის, თუ ოჯახური გარემოს, ბავშვის სიმპათიებისა და ანტიპათიების შესახებ ბაღს წინასწარ ექნება ინფორმაცია.

აღზრდის პროცესში თანამშრომლობა თავიდანვე უმნიშვნელოვანესია. ამაში იგულისხმება ისიც, რომ ბავშვზე მზრუნველი პირი (მეურვე) სულ მცირე პირველი ოთხი კვირის განმავლობაში ხელმისაწვდომია.

ყოველი შემთხვევა ინდივიდუალურია, ამიტომ არ არსებობს შეგუების ფაზისთვის დადგენილი ზუსტი დრო. თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, შეგუების ფაზა დაახლოებით ორიდან ოთხ კვირამდე გრძელდება.

შეგუების პროცესი ბერლინის მოდელის მიხედვით

1. ძირითადი ფაზა (2-3 დღე)

საბავშვო ბაღში ბავშვი მშობელთან ერთად მოდის და მასთან ერთად შესაბამის ჯგუფში რჩება ერთი, ან ორი საათით. ამის შემდეგ ბავშვი და მშობელი ერთად ბრუნდებიან სახლში. პირველ დღეს განშორება არ ხდება.

2. განშორების პირველი მცდელობა (3-4 დღე)

საბავშვო ბაღში მოყვანიდან რამდენიმე წუთში მშობელი ბავშვს ემშვიდობება და ოთახს ტოვებს, თუმცა სიახლოვეს რჩება. საბავშვო ბაღის აღმზრდელი მშობელთან ერთად გეგმავს მესამე ფაზის ხანგრძლივობას.

3. სტაბილიზაციის ფაზა

მოკლევადიანი შეგუების პროცესის შემთხვევაში (დაახლოებით 6 დღე)

საბავშვო ბაღში მშობელის გარეშე დარჩენის პერიოდი იზრდება. მშობელი ჩვენს შენობაში რჩება.

3. სტაბილიზაციის ფაზა

გრძელვადიანი შეგუების პროცესის შემთხვევაში (2-3 კვირა)

მხოლოდ მე-4, მე-5 დღიდან შორდება ბავშვს თავისი მშობელს, მას შემდეგ, რაც საბავშვო ბაღის აღმზრდელი ბავშვის დამშვიდებას შეძლებს, მზრუნველის გარეშე მისი ბაღში დარჩენის პერიოდი იზრდება. მშობელი კვლავაც ჩვენს შენობაში რჩება.

4. **საბოლოო ფაზა**

მშობელი საბავშვო ბაღში აღარ იმყოფება, თუმცა ყოველ წუთს ხელმისაწვდომია, თუ საბავშვო ბაღის აღმზრდელსა და პატარას შორის ურთიერთობა ჯერ არ განმტკიცებულა. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს გამომშვიდობების მოკლე რიტუალი. არავითარ შემთხვევაში მშობელი ბავშვს საბავშვო ბაღიდან არ უნდა ,,გაეპაროს".

ყოველ ბავშვს თავისი ტემპი აქვს

შეგუების პროცესის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებებზე, როგორებიცა: ბავშვის ასაკი და მისი მშობლებთან დაშორების და უცხო სიტუაციებთან, ან უცხო გარემოსთან შეგუების გამოცდილება.

ზოგიერთ ბავშვთან შეგუების ფაზა მხოლოდ რამდენიმე დღე გრძელდება. არსებობენ ისეთებიც, რომლებიც თავიდან საბავშო ბაღით აღფრთოვანებულნი არიან, თუმცა 2-3 კვირის შემდეგ მოულოდნელად შეიძლება გაუჭირდეთ ბაღში ყოფნა, რადგან ამ დროს სიახლე უკვე მომხიბვლელი აღარაა და ბავშვი აცნობიერებს, რომ ,,ეს ამიერიდან სულ ასე იქნება". ამასთან გამომშვიდობება ბევრი მათგანისათვის ადვილი არ არის. ამ შემთვევაში მნიშვნელოვანია აღმზდელებთან ახლო კომუნიკაცია. შესაძლოა ბავშვისთვის უმჯობესი იყოს, რომ საბავშვო ბაღში წამოიღოს თავისი საყვარელი რბილი სათამაშო, ან ზურგჩანთაში დედის ან მამის ფოტო ჰქონდეს. ზოგიერთი ბავშვი გამოთხოვებისას ალერსს მეტ დროს ანდომებს, ზოგიერთი კი სწრაფად ახერხებს გამომშვიდობებას.

საბავშვო ბაღში გატარებული პირველი დღის შემდეგ პატარები ნაშუადღევს ძალიან დაღლილები არიან, შეგუების პროცესისას ესეც უნდა გაითვალისწინონ მშობლებმა. ოჯახის ყველა წევრისათვის ეს ახალი ვითარებაა, რომელიც რამდენიმე კვირის შემდეგ ჩვეულებად იქცევა. მალე ბავშვები საკუთარი ყოველდღიურობის შესახებ მოგიყვებიან, ან შეიძლება ასე არც მოიქცნენ. მშობლები ამასაც უნდა შეეგუონ. თქვენი შვილი იწყებს პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმას. ის ახალ მეგობრებს იძენს, შეიცნობს ახალ საგნებს და ყველაფერს სახლში არ მოყვება.

თუ როგორ ,,მოეწყო" ბავშვი საბავშო ბაღში არამხოლოდ აღმზრდელებისაგან, არამედ თავად ბავშვისგანაც შეიტყობთ, როდესაც ის დღის მეორე ნახევარში შემდეგი ფრაზით შეგეგებებათ: ,,ჯერ არ მინდა, რომ წამიყვანო!"ეს კი იმას ნიშანი შეიძლება იყოს, რომ ბავშვი თავს უკვე კარგად გრძნობს თავის ახალ გარემოში.

მე გავეცანი საბავშვო ბაღში ბავშვის შეგუების თაობაზე ინფორმაციას და ვეთანხმები გერმანული საერთაშორისო სკოლის შეგუების მოდელს.

თარიღი:

მეურვის ხელმოწერა: